

კავკასიის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შესავალი:

კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანს ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის მისიაში, რომელიც ხაზს უსვამს კვლევაზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების ისეთი მიდგომების დანერგვას, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დემოკრატიულ პრინციპებს.

უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული მიზნები სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით განსაზღვრულ ამოცანებთან, ისევე როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანერგილ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტებთან.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს წევრებთან, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან.

მეთოდოლოგია:

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებას წინ უძღვოდა შიდა კვლევა, რომლის მიზანი გახლდათ უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, მათ შორის, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საჭიროებების დადგენა და პრიორიტეტების დასახვა, აღნიშნულს ემატება კავკასიის უნივერსიტეტში, ფულბრაიტის ამერიკელი პროფესორის მიერ ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასების მიზნით ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი. გასაუბრების შედეგად გამოიკითხა, როგორც კავკასიის სკოლის დეკანები, ასევე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სტუდენტები და ლექტორები. ასევე, მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს გარე კვლევა, რომლითაც შეფასდა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არსებული პრაქტიკა, დანერგილი მექანიზმები და გამოწვევები. მეთოდოლოგიის ნაწილია ასევე ეროვნულ დონეზე არსებული განათლებისა და მეცნიერების

სტრატეგიის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების, ასოცირების ხელშეკრულების, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“-ის ფარგლებში განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანებისა და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი, კერძოდ ACE და EAU -ს ინტერნაციონალიზაციის სახელმძღვანელოები.

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვა :

კავკასიის უნივერსიტეტის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველას თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა ექნება, რაც მას საერთაშორისო აღიარებასა და ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უნივერსიტეტის სახელს მოუპოვებს კავკასიის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

კავკასიის უნივერსიტეტის მისია:

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით:

ამოცანა: 1. კვლევის ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა: 2. პროგრამული (სწავლა/სწავლება) ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა: 3. საერთაშორისო აღიარება და ინსტიტუციური განვითარება

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის აღწერა

კავკასიის უნივერსიტეტი, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, თანამშრომლობს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და 53 ქვეყნის 142-მდე პარტნიორს ითვლის. პარტნიორობა მოიცავს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის გაცვლას, ერთობლივი ინსტიტუციური და კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, მოკლევადიანი პროექტებისა და მასტერკლასების განხორციელებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ახალი სტანდარტების დანერგვას. უნივერსიტეტი ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს +ის საერთაშორისო მობილობის პროგრამის ფარგლებში 40 ევროპელ პარტნიორთან ახორციელებს გაცვლით პროგრამებს. ამ მიმართულებით კავკასიის უნივერსიტეტი, ქვეყნის მასშტაბით, პირველ ადგილს იკავებს კერძო უნივერსიტეტების ნუსხაში. უნივერსიტეტი აგრეთვე ახორციელებს მნიშვნელოვან საგრანტო პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ და ითვალისწინებს ინსტიტუციონალურ განვითარებას, ახალი პროგრამების შემუშავებას, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი ცენტრების შექმნას, საბიბლიოთეკო რესურსის გაზრდასა და სხვადასხვა სახის მხარდაჭერი სერვისების განვითარებას საუნივერსიტეტო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

უნივერსიტეტი გაწევრიანებულია არაერთ წარმატებულ საერთაშორისო საუნივერსიტეტო ასოციაციასა და პროფესიულ ქსელში. ასევე, უნივერსიტეტის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს "უნივერსიტეტის პრეზიდენტთა საერთაშორისო ასოციაციას" რომელიც აერთიანებს 800-მდე უნივერსიტეტის პრეზიდენტს მსოფლიო მასშტაბით და ახორციელებს ერთობლივ პროგრამებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან. კავკასიის უნივერსიტეტი პირველია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელმაც 2019 წელს ევროპული კამპუსი გახსნა საფრანგეთში რენეს ბიზნესის სკოლის ბაზაზე. ასევე დაწყებულია საერთაშორისო აკრედიტაციის AASCB-ის პროცესი, რომლის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა. კავკასიის უნივერსიტეტის არაერთი პროგრამა Financial Times-ისა და Eduniversali –ის რეიტინგებში მოწინავე პოზიციებს იკავებს. უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვის აქტივობებს და უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.

კავკასიის უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის ამოცანების მისაღწევად თავის პოლიტიკას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

1. მხარს უჭერს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.(ამოცანა 1)
2. ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, ერთობლივი პროგრამების, პროექტების, ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარებასა და სხვა საერთაშორისო აქტივობებს. (ამოცანა2)
3. ხელს უწყობს და ავითარებს სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მობილობას. (ამოცანა 1, ამოცანა2)
4. ახორციელებს უცხოელი ხარისხის მაძიებელი სტუდენტების მოზიდვას და მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში.(ამოცანა2)
5. აღიარებს ინტერნაციონალიზაციას, როგორც გლობალური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებში. (ამოცანა 3)
6. უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე. (ამოცანა 3)
7. უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და გადრმავებას. (ამოცანა 1,2,3)
8. ხელს უწყობს ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში.(ამოცანა 1, ამოცანა 2, ამოცანა 3)

უნივერსიტეტი თითოეული სტრატეგიული მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმების დანერგვითა და საჭირო რესურსით.

1. მხარს უჭერს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

1.1. კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, მოიპოვებს ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების დაფინანსებას ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

1.2. თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან.

1.3. ხელს უწყობს მეცნიერთა მობილობის ზრდას.

1.4. მასპინძლობს და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში, სიმპოზიუმებში და სხვა ღონისძიებებში.

1.5. აქვეყნებს სტატიებს ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში.

1.6. აფინანსებს აკადემიური პერსონალისა და მეცნიერების კონფერენციებსა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობას შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის შესაბამისად.

1.7. თანამშრომლობს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან.

1.8. აქვს ევროპული კვლევითი ცენტრი საფრანგეთში რენის ბიზნესის სკოლის ბაზაზე.

1.9. ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს ინგლისურ ენაზე.

1.10. მუშაობს ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავებაზე და სადისერტაციო ნაშრომების თანახელმძღვანელობაზე უცხოელ პარტნიორებთან.

1.11. ხელს უწყობს უნივერსიტეტის, ბიზნეს სექტორისა და მეცნიერების თანამშრომლობას . აგრეთვე, უზრუნველყოფს კვლევაზე დაფუძნებული ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას და კვლევების კომერციალიზაციას.

2. ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას, ერთობლივი პროგრამების, პროექტების, ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარებასა და სხვა საერთაშორისო აქტივობებს.

2.1. ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ზრდის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული პროგრამების რაოდენობას.

2.2. ზრდის პროგრამებში ინგლისურ ენაზე შეთავაზებული კურსების რაოდენობას (კომპენენტებს)

2.3. სასწავლო პროცესში იყენებს უცხოურ ლიტერატურას, საერთაშორისო ქეისებსა და მეთოდოლოგიას.

2.4. ახორციელებს სასწავლო კურსების მუდმივ განახლებას და უზრუნველყოფს სწავლების/სწავლის შედეგების გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას.

2.5. უზრუნველყოფს სტუდენტების საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს სექტორთან ჩართულობას სტაჟირებების, კვლევებისა და სხვა შეთავაზებებით.

2.6. ახორციელებს/გეგმავს პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციას.

2.7. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ახორციელებს ერთობლივ პროგრამებს.

2.8. საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით და მათი გამოცდილების გაზიარების საფუძველზე აახლებს ან ავითარებს კონკრეტულ მოდულებს.

2.9. მოიპოვებს დონორების დაფინანსებას ცალკეული პროგრამებისა თუ კურსების განვითარების მიზნით.

2.10. იწვევს საერთაშორისო მომხსენებლებს მასტერკლასებისა და საჯარო ლექციების ჩასატარებლად შესაბამისი პროგრამის ფარგლებში.

3. ხელს უწყობს და ავითარებს სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის მობილობას:

3.1. გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები ევროპის, ამერიკის და აზიის წამყვან უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს გაცვლით პროექტებს (incoming/outgoing).

3.2. მოიპოვებს საერთაშორისო დონორების დაფინანსებას სტუდენტების, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მობილობის ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით. ზრდის როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობების რაოდენობას. (incoming/outgoing).

3.3. ახდენს საერთაშორისო მობილობის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას და მუშაობს სხვადასხვა დონორებთან (EC, DAAD, USAID, Ernst Mach, etc) (incoming/outgoing).

3.4. აფინანსებს რეიტინგული სტუდენტების გაცვლით პროექტებში მონაწილეობას, არსებული შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად.

3.5. ზრდის საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული მობილობის პროექტების რაოდენობას.

3.6. მასპინძლობს ფულბრაიტის და სხვა პროგრამების ფარგლებში დაფინანსებულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სწავლების, გარე შეფასებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართულობის მიზნით.

3.7. ახორციელებს საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერას აკადემიური და ადმინისტრაციული სერვისების შეთავაზებით/უზრუნველყოფით სტუდენტებისა და პერსონალისთვის (ჩარიცხვის პროცედურები, სავიზო მხარდაჭერა, საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფა, აკადემიური კონსულტაცია და ა.შ.).

3.8. ახდენს მობილობის მხარდაჭერი პროგრამების, მოკლევადიანი პროექტების, კონკურსების და სხვა შეთავაზებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან.

3.9. ყოველწლიურად აცხადებს მოკლევადიან პროფესიულ სასწავლო პროგრამებს უცხოელი სტუდენტებისათვის.

4. ახორციელებს უცხოელი ხარისხის მაძიებელი სტუდენტების მოზიდვას და მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში .

4.1 უზრუნველყოფს უცხოელი ხარისხის მაძიებელი სტუდენტების მოზიდვას.

4.2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს კამპანიას. მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებში, ფორუმებში, სამიტებში, გეგმავს ინდივიდუალურ გამოფენებს შერჩეულ ქვეყნებში. პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში. აქვეყნებს ინგლისურენოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაციას საერთაშორისო ელექტრონულ პორტალებზე, სოციალურ ქსელებში, ჟურნალებში. ავრცელებს საინფორმაციო ბროშურებს საელჩოების, პარტნიორებისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

4.3. შერჩეულ პროგრამებზე დაყრდნობით ახდენს იმ ქვეყნების იდენტიფიცირებას, საიდანაც სურს სტუდენტების მიღება და იწყებს ამ ქვეყნების ბაზრის შესწავლასა და მოზიდვის გეგმის შემუშავებას.

4.4. ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი ახორციელებს მოზიდვას საერთაშორისო აგენტების/შუამავალი აგენტების ან პარტნიორი უნივერსიტეტების მეშვეობით. ამ მიზნით აფორმებს სტუდენტთა მოზიდვის ხელშეკრულებას საერთაშორისო ან ადგილობრივ აგენტებთან/ შუამავალ აგენტებთან.

4.5. თანამშრომლობს პროგრამასთან “ისწავლე საქართველოში” .

4.6. თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან, საკონსულოებთან და აშ.

4.7. უცხოელ სტუდენტებს სთავაზობს დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე მორგებულ სასწავლო პროგრამებსა და დასაქმების შესაძლებლობას.

4.8. უცხოელ ხარისხის მაძიებელ სტუდენტებს სთავაზობს აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ მხარდაჭერ სერვისებს. ასევე, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას საცხოვრებლის მოძიების, სავიზო პროცედურების გავლის, ჩარიცხვის დოკუმენტაციის მომზადების, დაზღვევისა და სხვა საკითხებში.

4.9. სთავაზობს სხვადასხვა უცხო ენების შესწავლის შესაძლებლობას.

4.10. უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციისა და ინტერკულტურული გარემოს შექმნის მიზნით, გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც არის მიღების წვეულება, ექსკურსიები, საგანმანათლებლო ტურები, კონკურსები, სპორტული აქტივობები და სხვა კლასგარეშე აქტივობები. თავაზობს სტუდენტურ ცხოვრებაში ინტეგრაციას, უნივერსიტეტში არსებულ კლუბებსა თუ გუნდებში/ჯგუფებში გაწევრიანებით.

5. აღიარებს ინტერნაციონალიზაციას, როგორც გლობალური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებში.

5.1. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

5.2. ასევე, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ქვეყანაში აკადემიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული გარემოს ტენდენციებისა და გამოწვევების შესწავლას.

5.3. აღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტი უზრუნველყოფს მისიისა და სტრატეგიული მიზნების დოკუმენტების გადახედვასა და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების წარდგენას უნივერსიტეტის მმართველი საბჭოსთვის.

5.4. უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტი პასუხისმგებელია ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობაზე საუნივერსიტეტო დონეზე.

6. უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გამლიერებასა და ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე.

6.1. ინსტიტუციური პროფილის გამლიერების მიზნით, უნივერსიტეტი გაწევრიანებულია წამყვან საერთაშორისო ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელებში.

6.2. განსაზღვრავს პრიორიტეტულ სარეიტინგო სისტემებს და გეგმავს რეიტინგებში წამყვანი პოზიციის დამკვიდრებისათვის/შენარჩუნებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელებას.

6.3. შეიმუშავებს საერთაშორისო მარკეტინგულ გეგმას.

6.4. ახდენს იმ პროგრამების იდენტიფიცირებას, რომლებზეც სურს საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება და გეგმავს სრულ პროცესს.

6.5. დაწყებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაციის AACSB-ის პროცესი. დაგეგმილი აქვს WFME სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენა. ასევე ყოველწლიურად მონაწილეობს ედუნივერსალის კვლევებში და იკავებს მოწინავე პოზიციებს.

6.6. უნივერსიტეტის აღიარების მიმართულებით მუშაობს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სამინისტროებთან მათ მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაში მოხვედრის მიზნით.

6.7. ცნობადობის ამაღლების მიზნით, აქტიურად მუშაობს დიპლომატიურ კორპუსთან, დონორებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან.

6.8. მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე.

7. უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას და გაღრმავებას;

7.1. უნივერსიტეტი უწყვეტ რეჟიმში ახდენს არსებულ პარტნიორებთან კომუნიკაციას უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების შესახებ. უზიარებს მათ ინფორმაციას სიახლეებისა და ახალი ინიციატივების შესახებ. სთავაზობს სხვადასხვა პროექტებში/ღონისძიებებში მონაწილეობას. ანალოგიურად, უნივერსიტეტი იღებს ინფორმაციასა და შეთავაზებებს უცხოური პარტნიორ(ებ)ისგან.

7.2. ახალი პარტნიორების მოძიების მიზნით, უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში, საგანმანათლებლო კვირეულებში, ფორუმებში, მასტერკლასებში, გამოფენებში და დასაქმების ფორუმებში.

7.3. ახალი პარტნიორობის დასამყარებლად უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო კურსდამთავრებულებთან და მათი საშუალებით ახდენს დაინტერესებულ უნივერსიტეტთან კომუნიკაციასა და ნდობის მოპოვებას.

7.4. მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ქსელების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

8. ხელს უწყობს ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებსა და აკადემიური პერსონალის ინტეგრაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებში.

8.1. ხელს უწყობს არსებული ადმინისტრაციული მობილობების ფარგლებში(incoming/outgoing), პარტნიორი უნივერსიტეტების მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლასა და საჭიროების შემთხვევაში ინტეგრირებას;

8.2. ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მოდერნიზებას საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად.

8.3. უზრუნველყოფს კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის

კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას სასწავლო პროცესისა და სტუდენტური სერვისების საერთაშორისო სტანდარტებზე მორგების მიზნით.

8.4. ზრუნავს მკვლევარების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაზე და სთავაზობს შესაბამის ტრენინგებს/მასტერ კლასებს.

8.5. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საოპერაციო საქმიანობის ქართულ და ინგლისურ ენაზე წარმართვას.

8.6. სთავაზობს პერსონალს უცხო ენის კომპეტენციებსა და სხვა საჭირო მიმართულებებით გადამზადებას.

8.7. ახდენს მათ ინფორმირებას სხვადასხვა საერთაშორისო სტაჟირების თუ გადამზადების მოკლევადიან პროგრამებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს მათ ჩართულობას.

8.8. გეგმავს სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით მნიშვნელოვან ღონისძიებებს, სტუდენტების ჩართულობით.

8.9. ზრუნავს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებასა და მასპინძლობაზე.